ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 32

"20" თებერვალი 2024 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი №17-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.25.002.061) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 22 ივნისის №22.950.1016 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი №17-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.25.002.061.02.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე, 62-ე მუხლების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, მე-6 პუნქტის და ,,ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი №17-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.25.002.061) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 22 ივნისის №22.950.1016 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი №17-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.25.002.061.02.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 7 თებერვლის №24.169.194 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი №17-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.25.002.061) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის №295 განკარგულება, როლანდი ხოზრევანიძის (პ/ნ. 03001010081) ნაწილში.

2. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ,,ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი №17-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.25.002.061) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 22 ივნისის №22.950.1016 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში,

იაკობ ხვედელიანის ჩიხი №17-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.25.002.061.02.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 7 თებერვლის №24.169.194 განკარგულების მესამე პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე: ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი №17-ში, პირველ სართულზე არსებული 68.19 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.19.25.002.061.02.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად 1 - (ერთ) ლარად პრივატიზებაზე მოქალაქე როლანდი ხოზრევანიძისთვის (პ/ნ. 03001010081) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე